ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7

ქ. ბათუმი 31 იანვარი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-**საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი (ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №72) შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „ნოდარ შავაძე“ (ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ.№14/10)**__შემდგომში „მიმწოდებელი“, დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებელის მიერ შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე **10(ათი) ცალი ნისან ნავარას საბურავის(245/70R16) მოწოდება. (cpv კოდი – 34300000)**

შემდგომში ,,საქონელი''

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2 300(ორიათას სამასი) ლარს.

1.3. ერთი ცალი საბურავის ფასი შეადგენს 230(ორასოცდაათი) ლარს

2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საქონლის გადაცემა ხდება შემსყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

2.3. მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

2.4. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.5. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ესქპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3.2. ამ გარანტიის მოქმედების ვადა და სხვა პირობები განისაზღვრება დამოუკიდებელი ხელშეკრულებით.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ანანახარჯის გაწევის გარეშე.

3.4. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის [illegible] ფარგლებში წარმოშობილი

ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 15 საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეების მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადი გადასახადის სახით მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდემა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

9.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზრაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10.5. კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე დაევალოს დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსს კობა ხინიკაძეს.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

არ გამოიყენება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების

შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

16. შეტყობინება

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ და

18. გადასახადები და ბაჟები

18.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან, ხოლო მესამე ეგზემპლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„შემსრულებელი“
ქ. ბათუმი ჯავახიშვილის №72 *აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო-დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი* *ანგარიშის №* **GE78BG0000000886744500** *საიდენტიფიკაციო კოდი: 245538333* *მიმღები ბანკი: ს.ს. „საქართველოს ბანკი“* *ბანკის კოდი:* **BAGAGE22**	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ№ 14/10 ინდ. მეწარმე „ნოდარ შავაძე“ ანგარიშის № **GE46PC0033600100041164** საინ. კოდი: 05001001470. მიმღები ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი “ ბანკის კოდი: **MIBGGE22**
უფროსი: კ. შაშიკაძე	ნოდარ შავაძე